საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

KA030121855198120

№ 01-73/ო **04 / მარტი / 2020 წ.**

„ახალი კორონა ვირუსის (COVID - 19) გავრცელების პრევენციისა და მართვის უზრუნველყოფის მიზნით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ "საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 21 თებერვლის N01-62/ო ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

1. „ახალი კორონა ვირუსის (COVID - 19) გავრცელების პრევენციისა და მართვის უზრუნველყოფის მიზნით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ"საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 21 თებერვლის N01-62/ო ბრძანებაში ცვლილება და პირველი პუნქტის:

ა) ,,ბ" ქვეპუნქტით დამტკიცებული N2 დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით;

ბ) „დ" ქვეპუნქტის შემდგომ დაემატოს ,,ე", ,,ვ", ,,ზ", ,,თ", ,,ი", ,,კ", ,,ლ", ,,მ" და ,,ნ" ქვეპუნქტები შემდეგი შინაარსით:

„ე) COVID-19 შემთხვევის განსაზღვრება (დროებითი) N5 დანართის შესაბამისად;

ვ) კორონავირუსის (COVID-19) ქვეყანაში შემოტანისა და გავრცელების რისკების შემცირების მიზნით რთული ეპიდსიტუაციის მქონე ქვეყნებიდან საქართველოში შემომსვლელ პირთა დროებითი იზოლაციის პერიოდში სამედიცინო ზედამხედველობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების განხორციელების პროტოკოლი (დროებითი)" N6 დანართის შესაბამისად;

ზ) ,,COVID-19-ისადმი ექსპოზირებული არასამედიცინო ობიექტების დასუფთავების დროებითი რეკომენდაციები" N7 დანართის შესაბამისად;

თ) ,,ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების მაღალი რისკის ზონის ქვეყნებიდან საერთაშორისო მოგზაურთათვის განკუთვნილი რეკომენდაციები" N8 დანართის შესაბამისად;

ი) ,,ახალ კორონავირუსთან (COVID-19) დაკავშირებული რეკომენდაციები საერთაშორისო მოგზაურთათვის/ტურისტული კომპანიებისათვის" N9 დანართის შესაბამისად;

კ) ,,ახალ კორონავირუსთან (COVID-19) დაკავშირებული რეკომენდაციები იზოლაციაში მყოფი პირებისათვის" N10 დანართის შესაბამისად;

ლ) ,,ახალ კორონავირუსთან (COVID-19) დაკავშირებული რეკომენდაციები თვითიზოლაციაში მყოფი პირებისთვის" N11 დანართის შესაბამისად;

მ) ,,ახალ კორონავირუსთან (COVID-19) დაკავშირებული რეკომენდაციები თვითმფრინავის ბორტის ეკიპაჟის წევრებისათვის" N12 დანართის შესაბამისად;

ნ) ,,ახალ კორონავირუსთან (COVID-19) დაკავშირებული რეკომენდაციები მედია-ორგანიზაციებისა და ჟურნალისტებისათვის" N13 დანართის შესაბამისად;".

2. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

მინისტრი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ეკატერინე ტიკარაძე